სოფელ ნატანებში სადრენაჟე ქსელი წესრიგდება

8 აპრილი

შპს „საქართველოს მელიორაცია“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სადრენაჟე სისტემის მოწესრიგების სამუშაოებს ატარებს.

სარემონტო-საექსპლუატაციო ღონისძიებები კაპროვანის დამშრობ მასივზე მიმდინარეობს.

სოფელ ნატანებში ხე-მცენარეებისა და ნატანი მასისგან, ჯამში, 3 კილომეტრი სიგრძის მაგისტრალური და შემკრები არხები იწმინდება.

ჩატარებული სამუშაოები კოლექტორებში წყლის შეუფერხებლად გადინებას უზრუნველყოფს.

შედეგად, 25 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე სადრენაჟე მომსახურება გაუმჯობესდება, რაც მოსავლიანობის გაზრდას შეუწყობს ხელს.

სამუშაოები, რომელსაც კომპანია საკუთარი ძალებით ახორციელებს დასრულების ეტაპზეა.

ვარიანისა და შინდისის ტერიტორიაზე სარწყავი არხები წესრიგდება

11 აპრილი

შპს „საქართველოს მელიორაცია“ ქვეყნის მასშტაბით სამელიორაციო ინფრასტრუქტურულ პროექტებს უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს.

შიდა ქართლში, წყალუზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით, სოფლების ვარიანისა და შინდისის ტერიტორიაზე მცენარეებისა და შლამისგან 2 კილომეტრი სიგრძის სარწყავი არხი იწმინდება.

ექსპლუატაციის პროგრამით ჩატარებული სამუშაოების შედეგად, არხში წყლის გამტარუნარიანობა გაიზრდება, რაც 200 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე სარწყავი წყლის მიწოდებას გააუმჯობესებს.

აღდგენილი საირიგაციო არხის მეშვეობით სოფლების ვარიანისა და შინდისის მოსახლეობა ისარგებლებს.

სამუშაოები, რომელსაც კომპანია საკუთარი ძალებით ახორციელებს, მიმდინარე თვის შუა რიცხვებში დასრულდება.

ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხი იწმინდება

15 აპრილი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ ქვეყნის მასშტაბით საირიგაციო და სადრენაჟე ინფრასტრუქტურულ პროექტებს აქტიურად ახორციელებს.

სოფლების აკურისა და ვანთის ტერიტორიაზე, ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მოწესრიგების სამუშაოები მიმდინარეობს.

დანალექი გრუნტისა და ხე-მცენარეებისგან მაგისტრალური არხის 2,5 კმ სიგრძის მონაკვეთი იწმინდება.

ჩატარებული სამუშაოები არხის გამტარუნარიანობას გაზრდის, რაც წყლის შეუფერხებლად გადინებას შეუწყობს ხელს.

შედეგად თელავისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტების 6 სოფლის (აკურა, ვანთა, კახიფარი, ვაჩნაძიანი, კალაური, შაშიანი) დაახლოებით 350 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე სარწყავი წყლის მიწოდება გაუმჯობესდება.

სარწყავი არხის გაწმენდითი სამუშაოები საქართველოს მელიორაციამ მიმდინარე წლის მარტში დაიწყო და აპრილის ბოლომდე დაასრულებს.

დამშრობი ქსელის აღდგენითი სამუშაოები ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში

17 აპრილი

შპს „საქართველოს მელიორაცია“ გურიაში სადრენაჟე სისტემებს აწესრიგებს. ღონისძიებები ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დამშრობ ქსელზე მიმდინარეობს.

სოფელ გორაბერეჟეულში, ხე-ბუჩქნარისა და ნატანი მასისგან, 2,6 კილომეტრი სიგრძის კოლექტორული და შემკრები არხები იწმინდება.

ჩატარებული სამუშაოები არხებში წყლის შეუფერხებლად გადინებას უზრუნველყოფს. შედეგად, 15 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე სადრენაჟე მომსახურება გაუმჯობესდება, რაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდას შეუწყობს ხელს.

სადრენაჟე არხების გაწმენდით სამუშაოებს საქართველოს მელიორაცია მაისში დაასრულებს.

სარწყავი არხის გაწმენდითი სამუშაოები მარნეულის მუნიციპალიტეტში

25 აპრილი

შპს „საქართველოს მელიორაცია“ მარნეულის მუნიციპალიტეტში ხრამარხის სარწყავი სისტემის წმენდით სამუშაოებს ატარებს.

სამუშაოები ითვალისწინებს მაგისტრალური არხის, ჯამში 10 კილომეტრი სიგრძის მონაკვეთის, ნატანისა და ხე-ბუჩქნარისგან წმენდას და გამშვებ-სარეგულაციო ფარების მოწყობას.

საქართველოს მელიორაციამ ღონისძიებები მიმდინარე წლის თებერვალში დაიწყო და მაისში დაასრულებს.

ჩატარებული სამუშაოები არხში წყლის გამტარუნარიანობას გაზრდის და შეამცირებს წყლის დანაკარგს; შედეგად, დაახლოებით 300 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე სამელიორაციო მომსახურება გაუმჯობესდება.

აღსანიშნავია, რომ 2012-2024 წლებში ქვემო ქართლის რეგიონში განხორციელებული სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტების შედეგად, რეგულარულ სარწყავში გადავიდა 34,095 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი, სარწყავი წყლის მიწოდება 32,070 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე გაუმჯობესდა.

სადრენაჟე სისტემის აღდგენითი სამუშაოები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში

29 აპრილი

შპს „საქართველოს მელიორაცია“ რიონის მარცხენა სანაპიროს დამშრობ მასივს აწესრიგებს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფელ შუხუთის ტერიტორიაზე ხე-მცენარეებისა და ნატანი მასისგან 2,8 კილომეტრამდე სიგრძის სხვადასხვა კატეგორიის კოლექტორული და შემკრები არხები იწმინდება.

სამუშაოების დასრულების შემდეგ, არხში წყლის გამტარუნარიანობა გაუმჯობესდება, რაც იმას ნიშნავს, რომ 15 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე სადრენაჟე მომსახურება აღდგება და აგროწარმოების შესაძლებლობა გაიზრდება.
დამშრობ მასივზე სამუშაოები მაისის ბოლოს დასრულდება.

აღსანიშნავია, რომ 2012-2024 წლებში გურიის რეგიონში განხორციელებული სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტების შედეგად, დრენირებულია 2175 ჰექტარი მიწის ფართობი, ხოლო ჭარბი წყლის მოცილების სამუშაოები 14 470 ჰექტარ მიწის ფართობზე განხორციელდა.

გიგლა თამაზაშვილი წმო-ს გამგეობის წევრებს შეხვედა

30 აპრილი

სარწყავი წყლის ეფექტიანი განაწილება მნიშვნელოვანი გამოწვევაა საქართველოს მელიორაციის კომპანიისთვის.

თავის მხრივ, ამ რესურსის სწორ მართვაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხარისხიანი და უხვი მოსავლის მიღება და ფერმერთა შემოსავალი.

წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების (წმო) შექმნა, განვითარება და ეფექტიანი მართვა არის გზა, რომელიც ყველა განვითარებულმა ქვეყანამ გაიარა და დანერგა სარწყავი წყლის რესურსების სწორი მენეჯმენტის მიზნით.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ახლად შექმნილ წყალმომხმარებელთა ორგანიზაციის გამგეობის წევრებთან გამართულ შეხვედრაზე წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების (წმო) ფუნქციონირების საკითხები განიხილა შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალურმა დირექტორმა გიგლა თამაზაშვილმა.

საგარეჯოს წყალმომხმარებელთა ორგანიზაცია ფერმერთა პირველი გაერთიანებაა, რომელიც საქართველოს მელიორაციასთან მჭიდრო თანამშრომლობით გეგმავს წევრების სარწყავი წყლით უზრუნველყოფას და სამელიორაციო სერვისების მკვეთრ გაუმჯობესებას.

საქართველოს მელიორაციაში სისხლის უანგარო დონაციის აქცია ჩატარდა

5 მაისი

შპს „საქართველოს მელიორაციაში“ სისხლის უანგარო დონაციის აქცია ჩატარდა. კომპანიის თანამშრომლებმა სისხლი სიცოცხლის გადასარჩენად ჩააბარეს.

სისხლის და სისხლის კომპონენტების გადასხმა ყოველწლიურად მილიონობით ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის შესაძლებლობას იძლევა.

დონორული სისხლისგან დამზადებული სისხლის კომპონენტებით მარაგდება, როგორც ბავშვთა, ისე მრავალპროფილური კლინიკები.

ლეიკემიითა და სხვა დაავადების მქონე ადამიანებისთვის სისხლის ხშირ გადასხმას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

დონაციის აქცია ა(ა)იპ „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურმა“ (სისხლის ბანკი) ჩაატარა.

შპს „საქართველოს მელიორაცია“ სისხლის უანგარო დონაციის აქციებში მონაწილეობას სისტემატურად იღებს.

ახალსოფელი-სამწევრისის ტერიტორიაზე მაგისტრალური არხი იწმინდება

8 მაისი

შპს „საქართველოს მელიორაცია“ ქვეყნის მასშტაბით სამელიორაციო ინფრასტრუქტურულ პროექტებს უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს.

შიდა ქართლში, სოფლების ახალსოფელი-სამწევრისის ტერიტორიაზე სკრა-ქარელის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის 1 კილომეტრიანი მონაკვეთი იწმინდება.

ექსპლუატაციის პროგრამით ჩატარებული სამუშაოები არხში წყლის შეუფერხებლად გადინებას შეუწყობს ხელს, რაც დაახლოებით 650 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე სარწყავი წყლის მიწოდებას გაუმჯობესებს.

საირიგაციო არხი ქარელისა და გორის მუნიციპალიტეტების 8 სოფელს (სამწევრისი, ქარელი, ხვედურეთი, ქვენაფლავი, ღვლევი, სკრა, რიეთი, ბეთლემი) ემსახურება.

სამუშაოებს კომპანია საკუთარი ძალებით ახორციელებს და მიმდინარე თვის შუა რიცხვებში დასრულდება.

აღსანიშნავია, რომ დღეისათვის შიდა ქართლის რეგიონში სამელიორაციო ინფრასტურქტურის 10 სარეაბილიტაციო პროექტი მიმდინარეობს. შედეგად, წყლით უზრუნველყოფა 12,250 ჰექტარ სავარგულზე გაუმჯობესდება.

სარწყავი არხის მოწესრიგების სამუშაოები წყალტუბოს მუნიციპალიტეტში

15 მაისი

შპს „საქართველოს მელიორაცია“, სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ფარგლებში, იმერეთში, მაშველის სარწყავ სისტემაზე სამუშაოებს ატარებს.

სოფელ მუხიანის ტერიტორიაზე, გამანაწილებელი არხის 2 კმ-იანი მონაკვეთი იწმინდება.

ჩატარებული სამუშაოების შედეგად, სოფლების მუხიანისა და ფარცხანაყანევის 60 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე, საირიგაციო მომსახურების გაუმჯობესებასთან ერთად, დაახლოებით 50 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობების დატბორვის საშიშროება აღარ იარსებებს.

საქართველოს მელიორაციამ სარწყავ სისტემაზე ექსპლუატაციის ღონისძიებები საკუთარი ძალებით მარტში დაიწყო და დასრულების ეტაპზეა.

კახეთში 1200 ჰექტარამდე სავარგულზე წყალუზუნველყოფა გაუმჯობესდება

16 მაისი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ ქვეყნის მასშტაბით საირიგაციო და სადრენაჟე ინფრასტრუქტურულ მასშტაბურ პროექტებს ახორციელებს.

თელავის მუნიციპალიტეტში, სოფელ ვარდისუბნის ტერიტორიაზე, ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს.

დანალექი გრუნტისა და ხე-მცენარეებისგან მაგისტრალური არხის 2,7 კმ სიგრძის მონაკვეთი იწმინდება. ჩატარებული სამუშაოები არხის გამტარუნარიანობას გაზრდის, რაც წყლის შეუფერხებლად გადინებას შეუწყობს ხელს.

შედეგად, დაახლოებით 1200 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე სარწყავი წყლის მიწოდება გაუმჯობესდება.

სარწყავი არხის გაწმენდით სამუშაოებს საქართველოს მელიორაცია მაისის ბოლომდე დაასრულებს.

აღსანიშნავია, რომ 2012-2024 წლებში კახეთის რეგიონში განხორციელებული სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტების შედეგად, წყალუზრუნველყოფილია დამატებით 20 140 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი, ხოლო სარწყავი წყლის მიწოდება 16 285 ჰექტარზე გაუმჯობესდა.

სოფელ ნინოშვილის ტერიტორიაზე სადრენაჟე არხები წესრიგდება

22 მაისი

შპს „საქართველოს მელიორაცია“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნინოშვილის ტერიტორიაზე ხე-ბუჩქნარისა და ნატანი მასისგან 2,2 კილომეტრი სიგრძის კოლექტორული და შემკრები ქსელის გაწმენდით სამუშაოებს ახორციელებს.

არხის გამტარუნარიანობის გაზრდის შედეგად, მუნიციპალიტეტში 15 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე სადრენაჟე მომსახურება გაუმჯობესდება, რაც სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების გაზრდას შეუწყობს ხელს.

სადრენაჟე არხის გაწმენდით სამუშაოებს საქართველოს მელიორაცია მიმდინარე წლის ივნისში დაასრულებს.

აღსანიშნავია, რომ 2012-2024 წლებში გურიის რეგიონში განხორციელებული სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტების შედეგად, დრენირებულია 2175 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში დამშრობი ქსელი წესრიგდება

23 მაისი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ ქობულეთის მუნიციპალიტეტში სადრენაჟე სისტემაზე გაწმენდით სამუშაოებს ატარებს.

სოფელ აჭყვისთავის ტერიტორიაზე, 4 კილომეტრამდე სიგრძის კოლექტორული და შემკრები არხები წესრიგდება.

ჩატარებული სამუშაოები არხში წყლის შეუფერხებლად გადინებას უზრუნველყოფს. შედეგად, მუნიციპალიტეტში 40 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე სადრენაჟე მომსახურება გაუმჯობესდება და აგროწარმოების შესაძლებლობა გაიზრდება.

სადრენაჟე არხებზე ექსპლუატაციის პროგრამით მიმდინარე სამუშაოებს საქართველოს მელიორაცია მიმდინარე წლის ივლისში დაასრულებს.

სოფელ არაფლოში სარწყავი არხის აღდგენითი სამუშაოები დასრულდა

28 მაისი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაციამ“ მარნეულის მუნიციპალიტეტში, სოფელ არაფლოში სარწყავი არხის აღდგენითი სამუშაოები დაასრულა.

უხვი ნალექის გამო, მდინარე დებედაში ჭარბი წყლის მოვარდნამ დებედას მაგისტრალური არხის სათავე ნაგებობის წყალმიმღები არხი დააზიანა. აღნიშნული დაზიანების აღმოსაფხვრელად გაიჭრა 250 მეტრი სიგრძის ახალი წყალმიმყვანი არხი, რომლის მეშვეობითაც წყალი მაგისტრალურ არხში ჩაედინება და სარწყავი წყლით 450 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობს შეუფერხებლად ამარაგებს.

სარწყავი არხის მოწესრიგების სამუშაოები ხონის მუნიციპალიტეტში

29 მაისი

შპს „საქართველოს მელიორაციამ“, სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ფარგლებში, იმერეთში, ხონი-სამტრედიის სარწყავ სისტემაზე მიმდინარე სამუშაოები დაასრულა.

სოფლების ივანდიდისა და გოჩა ჯიხაიშის ტერიტორიაზე ხე-მცენარეებისა და ნატანი მასისგან წყალგამანაწილებელი არხის 4 კმ-იანი მონაკვეთი გაიწმინდა.

ჩატარებული სამუშაოების შედეგად, გაიზარდა არხის გამტარუნარიანობა და 160 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე სამელიორაციო მომსახურება გაუმჯობესდა.

აღსანიშნავია, რომ 2012 წლიდან დღემდე იმერეთის რეგიონში განხორციელებული სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტების შედეგად, წყალუზრუნველყოფილია 12 075 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი, სარწყავი წყლის მიწოდება 15 265 ჰექტარ სავარგულზე გაუმჯობესდა, დაშრობილი მიწის ფართობის რაოდენობა 3 385 ჰექტარს შეადგენს.

დასავლეთის რეგიონული სამსახურის უფროსის წარდგენა

2 ივნისი

შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალურმა დირექტორმა გიგლა თამაზაშვილმა კომპანიის დასავლეთის რეგიონული სამსახურისა და სერვისცენტრების თანამშრომლებს სამსახურის ახალი უფროსი, მამუკა ლოსაბერიძე წარუდგინა.

პროფესიით იურისტი მამუკა ლოსაბერიძე გაზის ტრანსპორტირების კომპანიის დასავლეთის რეგიონის ფილიალს ხელმძღვანელობდა; აქვს სახელმწიფო და კერძო სექტორში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება.

დასავლეთის რეგიონული სამსახურისა და სერვისცენტრების თანამშრომლებთან გამართულ შეხვედრაზე გიგლა თამაზაშვილმა საქართველოს მელიორაციაში მიმდინარე სტრუქტურულ რეფორმებზე და სამოქმედო გეგმაზე ისაუბრა.

გიგლა თამაზაშვილმა იმერეთში სამელიორაციო ობიექტები დაათვალიერა

4 ივნისი

შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორი გიგლა თამაზაშვილი დასავლეთ საქართველოში იმყოფებოდა, სადაც იმერეთის სამელიორაციო სისტემებს გაეცნო და ინფრასტრუქტურული ობიექტები დაათვალიერა. რეგიონალური სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად, გიგლა თამაზაშვილმა სარწყავი სეზონისთვის მიმდინარე მოსამზადებელი სამუშაოების შესახებ მოისმინა ინფორმაცია;

გენერალურმა დირექტორმა და შესაბამისი სამსახურის თანამშრომლებმა ინფრასტრუქტურული ობიექტების გამართულად მუშაობის საკითხებზეც იმსჯელეს.

აღსანიშნავია, რომ 2012-2024 წლებში, იმერეთის რეგიონში სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 32 სარეაბილიტაციო პროექტი განხორციელდა.

ესპლუატაციის ფარგლებში, მოწესრიგდა და გაიწმინდა 1078 კილომეტრი სიგრძის სამელიორაციო არხები, შეკეთდა 1 555 ერთეული სხვადასხვა ტიპის ჰიდროტექნიკური ნაგებობა.

აღნიშნული ინფრასტრუქტურული სამუშაოების შედეგად, წყალუზრუნველყოფილი გახდა 12 075 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი, სარწყავი წყლის მიწოდება 15 270 ჰექტარზე გაუმჯობესდა, ხოლო დრენირებულია 3385 ჰექტარი სავარგული.

შიდა ქართლში რეგიონული სამსახურის ახალი უფროსის წარდგენა

7 ივნისი

შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალურმა დირექტორმა გიგლა თამაზაშვილმა კომპანიის შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამსახურისა და სერვისცენტრების თანამშრომლებს სამსახურის ახალი უფროსი, ლევან მჭედლიძე წარუდგინა.

შეხვედრაზე გენერალურმა დირექტორმა რეგიონული სამსახურების მნიშვნელობის შესახებ ისაუბრა და აღნიშნა, რომ შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამსახურის ეფექტიან მუშაობაზეა დამოკიდებული არაერთი სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტის ეფექტიანი განხორციელება, რაც სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

ლევან მჭედლიძეს სახელმწიფო და კერძო სექტორში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს.

გიგლა თამაზაშვილმა სამსახურის ყოფილ უფროსს გაწეული საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა. ახალ ხელმძღვანელს მომავალ საქმიანობაში წარმატება უსურვა.

ხობი-უტორას დამშრობ მასივზე გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს

12 ივნისი

შპს „საქართველოს მელიორაცია“ სამეგრელოში სადრენაჟე სისტემების მოწესრიგების სამუშაოებს ატარებს.

ექსპლუატაციის ღონისძიებები ხობის მუნიციპალიტეტში ხობი-უტორას დამშრობ მასივზე მიმდინარეობს.

სოფლების ხეთისა და პირველი მაისის ტერიტორიაზე, ხე-ბუჩქნარისა და ნატანი მასისგან, 4,7 კილომეტრი სიგრძის კოლექტორული და შემკრები არხები იწმინდება.

ჩატარებული სამუშაოები არხებში წყლის შეუფერხებლად გადინებას შეუწყობს ხელს.

შედეგად, 80 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე სადრენაჟე მომსახურება გაუმჯობესდება, რაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გაზრდას უზრუნველყოფს.

სადრენაჟე არხების გაწმენდით სამუშაოებს საქართველოს მელიორაცია აგვისტოში დაასრულებს.

აღსანიშნავია, რომ 2012-2024 წლებში სამეგრელოში განხორციელებული სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტების შედეგად, დრენირებულია 12 400 ჰექტარი მიწის ფართობი, ხოლო ჭარბი წყლის მოცილების სამუშაოები 10 170 ჰექტარ მიწის ფართობზე განხორციელდა.

შიდა ქართლში 400 ჰექტარზე სარწყავი წყლის მიწოდება გაუმჯობესდება

13 ივნისი

შპს „საქართველოს მელიორაცია“ ქვეყნის მასშტაბით სამელიორაციო ინფრასტრუქტურულ პროექტებს უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს.

შიდა ქართლში, სოფელ მეჯვრისხევის ტერიტორიაზე ტირიფონის მაგისტრალური სარწყავი არხის 2,5 კილომეტრიანი მონაკვეთი იწმინდება.

ჩატარებული სამუშაოების შედეგად, არხის გამტარუნარიანობა გაიზრდება, რაც დაახლოებით 400 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე სამელიორაციო მომსახურებას გააუმჯობესებს.

საირიგაციო არხი მეჯვრისხევის, ზერტის, კირბალისა და კვარხეთის მოსახლეობას ემსახურება. სამუშაოებს კომპანია საკუთარი ძალებით ახორციელებს. აღსანიშნავია, რომ დღეისათვის შიდა ქართლის რეგიონში სამელიორაციო ინფრასტურქტურის 6 სარეაბილიტაციო პროექტი მიმდინარეობს. შედეგად, წყალუზრუნველყოფა 11,870 ჰექტარ სავარგულზე გაუმჯობესდება.

საქართველოს მელიორაციაში სტუდენტებმა სტაჟირება გაიარეს

14 ივნისი

შპს „საქართველოს მელიორაციაში“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის - აგროინჟინერია, ნიადაგის და წყლის სპეციალობა, სტუდენტებმა სტაჟირება გაიარეს.

1 თვის განმავლობაში, სტუდენტები კომპანიის რეგიონულ სერვისცენტრებსა და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ობიექტებზე მუშაობის სპეციფიკას გაეცნენ.

სტაჟირება შპს „საქართველოს მელიორაციასა“ და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში ჩატარდა.

მემორანდუმი მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობის დარგში ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების მომზადების მხარდაჭერას, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობას.

კომპანიაში გამართულ შეხვედრაზე, რომელსაც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და საქართველოს მელიორაციის შესაბამისი დეპარტამენტების წარმომადგნელები ესწრებოდნენ, სტუდენტებმა სტაჟირების შემაჯამებელი პრეზენტაცია წარმოადგინეს, რის შემდეგაც სერტიფიკატები გადაეცათ.

2025 წლის სარწყავი სეზონი გაიხსნა

16 ივნისი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ლაშა დოლიძემ, შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალურმა დირექტორმა გიგლა თამაზაშვილმა და გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ლევან ხაზიურმა, 2025 წლის სარწყავი სეზონის დაწყების აღსანიშნად, სიმბოლურად, ლაკბეს რეაბილიტირებული წყალსაცავის წყალგამშვები ურდული გახსნეს.

სარწყავ სისტემაში წყლის გაშვების პროცესს ადგილობრივი ფერმერები ესწრებოდნენ. მინისტრის მოადგილემ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაში მელიორაციის როლზე ისაუბრა.

„მელიორაციის და მიწის მართვის გაუმჯობესებას გადამწყვეტი როლი ენიჭება სოფლის მეურნეობის განვითარებაში. სამინისტრო აქტიურად გააგრძელებს ამ მიმართულებით მუშაობას. ლაკბეს წყალსაცავი მნიშვნელოვანი ახალი ობიექტია, რომელიც წარმატებით მიაწვდის ფერმერებს წყალს“, - აღნიშნა ლაშა დოლიძემ.

გიგლა თამაზაშვილმა ადგილობრივებთან რეგიონის განვითარებისთვის სამელიორაციო სისტემების გამართული ფუნქციონირების მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება.

„სოფლის მეურნეობის განვითარება მელიორაციის გარეშე შეუძლებელია. სამელიორაციო ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია არის უმნიშვნელოვანესი. ჩვენ ამ მიმართულებით მასშტაბურ პროექტებს ვახორციელებთ, რითაც საშუალებას ვაძლევთ ფერმერებსა და სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ადამიანებს, აწარმოონ ხარისხიანი, მაღალი ღირებულების პროდუქცია.

გურჯაანის მუნიციპალიტეტში, ლაკბეს წყალსაცავის რეაბილიტაცია რამდენიმე მილიონი ლარის ინვესტიციით განხორციელდა. ჩატარებული სამუშაოები წყალსაცავის გამართულად ფუნქციონირებასა და ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მარცხენა მაგისტრალური არხის წყალგამანაწილებლების (გ-41 და გ-42) დამატებით კვებას უზრუნველყოფს. შედეგად, 1465 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე სარწყავი წყლის მიწოდება გაუმჯობესდება“, - განაცხადა გიგლა თამაზაშვილმა.

აღსანიშნავია, რომ კახეთის რეგიონში, 2012-2024 წლებში განხორციელებული სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტების შედეგად, დამატებით 20 140 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობია წყალუზრუნველყოფილი, სარწყავი წყლის მიწოდება 16 285 ჰექტარზე გაუმჯობესდა, დრენირებული მიწის ფართობის რაოდენობა 8 725 ჰექტარია.

შიდა ქართლში 100 ჰექტარ სავარგულზე წყალუზრუნველყოფა გაუმჯობესდება

19 ივნისი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“, რწყვის სეზონის პარალელურად, წყალუზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით, საირიგაციო სისტემების მოწესრიგებას განაგრძობს.

შიდა ქართლში, სოფელ ძლევიჯვარის ტერიტორიაზე, „საქართველოს მელიორაცია“ გაწმენდით სამუშაოებს საკუთარი ძალებით ახორციელებს.

ხე-მცენარეებისა და ნატანი მასისგან მაგისტრალური არხის პირველი რიგის წყალგამანაწილებლის 1500 მეტრიანი მონაკვეთი იწმინდება.

ჩატარებული სამუშაოები არხში წყლის შეუფერხებლად გადინებას შეუწყობს ხელს. შედეგად, სოფელ ძლევიჯვარსა და ბრეთის მეურნეობაში დაახლოებით 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე სარწყავი წყლის მიწოდება გაუმჯობესდება.
სამუშაოები დასრულების ეტაპზეა.

აღსანიშნავია, რომ 2012-2024 წლებში შიდა ქართლში განხორციელებული სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტების შედეგად, წყალუზრუნველყოფილია 20 100 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი, ხოლო სარწყავი წყლის მიწოდება 15 680 ჰექტარზე გაუმჯობესდა.

სოფელ ვაყაში სარწყავი არხების გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს

20 ივნისი

შპს „საქართველოს მელიორაცია“ ხაშურის მუნიციპალიტეტში, სოფელ ვაყას ტერიტორიაზე ბუჩქნარისა და ნატანი მასისგან ტაშისკარის სარწყავი სისტემის წყალგამანაწილებელი არხის გაწმენდით სამუშაოებს ახორციელებს.

ჩატარებული სამუშაოები არხის გამტარუნარიანობას გაზრდის, რაც წყლის შეუფერხებლად გადინებას უზრუნველყოფს.

შედეგად, 50 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე სამელიორაციო მომსახურება გაუმჯობესდება და აგროწარმოების შესაძლებლობა გაიზრდება.

ექსპლუატაციის პროგრამით მიმდინარე სამუშაოები დასრულების ეტაპზეა.

აღსანიშნავია, რომ დღეისათვის შიდა ქართლის რეგიონში სამელიორაციო ინფრასტრუქტურული 6 პროექტი მიმდინარეობს.

შედეგად, წყალუზრუნველყოფა 11,870 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე გაუმჯობესდება.

სოფელ ახალშენში სარწყავი არხი გაიწმინდა

25 ივნისი

შპს „საქართველოს მელიორაციამ“, სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ფარგლებში, ხონი-სამტრედიის სარწყავ სისტემაზე სამუშაოები განახორციელა.
ხონის მუნიციპალიტეტში, სოფელ ახალშენის ტერიტორიაზე, ნატანი მასისგან წყალგამანაწილებელი არხის 2 კილომეტრიანი მონაკვეთი გაიწმინდა.

ჩატარებული სამუშაოების შედეგად, სოფელ ახალშენის დაახლოებით 155 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე სამელიორაციო მომსახურება გაუმჯობესდა.

საქართველოს მელიორაციამ ექსპლუატაციის ღონისძიებები მაისის თვეში დაიწყო და ივნისში დაასრულა.

აღსანიშნავია, რომ, 2012 წლიდან დღემდე, იმერეთის რეგიონში განხორციელებული სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტების შედეგად, წყალუზრუნველყოფილია 12 075 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი, სარწყავი წყლის მიწოდება 15 265 ჰექტარ სავარგულზე გაუმჯობესდა, დაშრობილი მიწის ფართობის რაოდენობა 3 385 ჰექტარია.

დავით სონღულაშვილი ხრამ არხის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის რეაბილიტაციის სამუშაოებს ადგილზე გაეცნო

26 ივნისი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით სონღულაშვილი, მარნეულის მუნიციპალიტეტში, ხრამ არხის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის რეაბილიტაციის სამუშაოებს ადგილზე გაეცნო.

„აღმოსავლეთ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწების რაციონალურად გამოყენებისთვის აუცილებელია, ფერმერებს სარწყავ წყალზე შეუფერხებელი წვდომა ჰქონდეთ. სახელმწიფო გამართული სამელიორაციო ინფრასტრუქტურის შესაქმნელად მასშტაბურ პროექტებს ახორციელებს. შედეგად, დღეისათვის, ქვეყნის მასშტაბით, სარწყავი წყალი 165 000 ჰექტრამდე მიწის ფართობს შეუფერხებლად მიეწოდება და ეს რიცხვი ეტაპობრივად იზრდება. აქვე მინდა აღვნიშნო. რომ აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა პროგრამაზე, რომელიც გააუმჯობესებს წყალმომხმარებლებთან კომუნიკაციას და მომსახურების მექანიზმებს“, - აღნიშნა დავით სონღულაშვილმა.

ხრამ არხის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის სამუშაოებს შპს საქართველოს მელიორაცია ახორციელებს. აღდგენილი საირიგაციო სისტემით ბოლნისისა და მარნეულის მუნიციპალიტეტების 12 სოფელი: ცურტავი, ფარიზი, ყიზილაჯლო, თამარისი, წერეთელი, საბირქენდი, ალგეთი, თაზაქენდი, აზიზქენდი, ალგეთის მევენახეობა, ქეშალო, ამბაროვკა, ასევე, ქალაქ მარნეულის მიმდებარე ტერიტორია და სამეწარმეო დანიშნულების ობიექტები ისარგებლებენ.

სოფელ ხოვლეში საირიგაციო არხის გაწმენდითი სამუშაოები დასრულდა

29 ივნისი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ ქვეყნის მასშტაბით სარწყავ და სადრენაჟე სისტემებს აწესრიგებს.

კასპის მუნიციპალიტეტში, სოფელ ხოვლეს ტერიტორიაზე „საქართველოს მელიორაციამ“ სარწყავი არხის გაწმენდითი სამუშაოები საკუთარი ძალებით განახორციელა.

ექსპლუატაციის პროგრამით გატარებული ღონისძიებები არხში წყლის შეუფერხებლად გადინებას უზრუნველყოფს, რაც 50 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე სარწყავი წყლის მიწოდებას გააუმჯობესებს და აგროწარმოების შესაძლებლობის გაზრდას შეუწყობს ხელს.

აღსანიშნავია, რომ დღეისათვის შიდა ქართლის რეგიონში სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 6 სარეაბილიტაციო პროექტი მიმდინარეობს. შედეგად, წყლით უზრუნველყოფა 11,870 ჰექტარ სავარგულზე გაუმჯობესდება.